# დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
# CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990150340334119

საქართველო, 1800, ქ.დუშეთი, რუსთაველის ქ. № 27 +995(346)221989
www.dusheti.gov.ge
27 RUSTAVELI STREET, DUSHETI, 1800, GEORGIA +995(346)221987 info@dusheti.gov.ge


№ **07/27467** **19 / დეკემბერი / 2019 წ.**

შპს ,,დაბა პლიუსი“-ს
დირექტორს დავით ბაისონაშვილს

ბატონო დავით,

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და თქვენ შორის 2019 წლის 21 ოქტომბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N491 ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მაღაროსკარი ადმინისტრაციულ ერთულში, სოფელ ქალილოში არტეზიული ჭის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, რომლის მიწოდების ვადად განისაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2020 წლის 28 თებერვალი. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების , არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური გვაწვდის ინფორმაციას, რომ სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ N491 ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად : იმ შემთხვევაში , თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. 13 -ე მუხლის მე-3 პუნქტით შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ: ა) მიმწოდებელი არღვევს ( არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი